GEFF Green Economy Financing Facility

European Bank for Reconstruction and Development

# ᲒᲐᲖᲐᲠᲓᲔᲗ ᲙᲚᲘᲔᲜᲢᲗᲐ ᲑᲐᲖᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲔᲑᲘ, ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲨᲘ.



ᲗᲣ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲗ ᲐᲜ ᲧᲘᲓᲘᲗ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲖᲝᲒᲐᲕᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐᲡ, ᲬᲧᲐᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲡ, GEFF ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡᲐᲐ.

პროექტის მხარდამჭერები:

Federal Ministry Republic of Austria Finance

GREEN CLIMATE FUND

## რა უნდა იცოდეთ GEFF-ის შესახებ?

- მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამა (GEFF) არის EBRD-ის (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი) მიერ ჩამოყალიბებული პროგრამა, რომლის მიზანია განავითაროს ეკონომიკა, დაიცვას გარემო და გააჯანსაღოს ბიზნეს და საყოფაცხოვრებო პირობები;
- GEFF, 170-ზე მეტი პარტნიორი საფინანსო ორგანიზაციის მეშვეობით, 28 ქვეყანაში საქმიანობს და ოპერირებს EBRD-ის €5 მილიარდიანი დაფინანსებით;
- მის მიერ განხორციელებული 218,000 ინვესტიციის შედეგად, სათბური აირების წლიური გამოყოფა 9.5 მილიონი ტონით შემცირდა;
- GEFF აფინანსებს მწვანე ინვესტიციებს, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიებზე ზრდადი მოთხოვნის შედეგად სულ უფრო აქტუალურია.

## როგორ გამოადგება GEFF თქვენს ბიზნესს:

- თქვენი პროდუქცია წარმოდგენილი იქნება მწვანე ტექნოლოგიის სარჩევში (Green Technology Selector), რომელიც გლობალურ ონლაინ რესურსს წარმოადგენს https://techselector.com/georgia-ge/;
- თქვენი კომპანია ჩაერთვება გლობალური მოთხოვნის დაკმაყოფილებაში;
- გექნებათ მეტი ხილვადობა, რაც მეტ კლიენტს მოგიყვანთ;
- გააუმჯობესებთ გაყიდვებსა და გაზრდით შემოსავალს;
- აამაღლებთ კომპანიის რეპუტაციას;
- მიიღებთ წვდომას საკონსულტაციო მომსახურებაზე.

## რა უპირატესობები ელოდება თქვენს კლიენტებს:

- დაფინანსება კონკრეტულად თანამედროვე ტექნოლოგიების შეძენისთვის და მიზანმიმართული ტექნიკური მხარდაჭერა;
- გაუმჯობესებული ხარისხი, პროდუქტიულობა და გაზრდილი მოგება;

## რა არის და როგორ მუშაობს მწვანე ტექნოლოგიური სარჩევი:

- მწვანე ტექნოლოგიის სარჩევი არის ონლაინ პლატფორმა, რომელზეც წარმოდგენილია მხოლოდ ის ტექნოლოგიები და მასალები, რომლებიც ზოგავს ენერგიას და სხვა რესურსს, ან ხელს უწყობს განახლებადი ენერგიის გამომუშავებას;
- ეს არის ღია პლატფორმა, რაც ნიშნავს იმას, რომ თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ახალი პროდუქტის დამატება;
- ახალი, სრულიად უფასო, გაყიდვებისა და ინფორმაციის გავრცელების არხი.

## როგორ ხდება პროდუქტის დამატება მწვანე ტექნოლოგიის სარჩევში:

პროცესი ძალიან მარტივია:

ნაბიჯი **01**

### რეგისტრაცია

დაარეგისტრირეთ თქვენი კომპანია, როგორც მომწოდებელი, მისამართზე: https://techselector.com/georgia-ge/

ნაბიჯი **02**

### ატვირთვა

დაამატეთ შესაბამისი პროდუქტები ცალ-ცალკე ან ატვირთეთ რამდენიმე ერთად

ნაბიჯი **03**

### კავშირი

დაამყარეთ კავშირი გლობალურ მწარმოებელთან და დაფიქსირდით, როგორც ადგილობრივი დისტრიბუტორი

ნაბიჯი **04**

### გაყიდვა

თქვენ უკვე მარტივად აღმოგაჩენთ ყველა ის ადამიანი, რომელსაც სურს პროდუქციის შეძენა

## რას ამბობენ GEFF-ის შესახებ?

*“როგორც რეგიონში უმსხვილესი ავტოპროდუქტებისა და ავტომომსახურების მომწოდებელი, ჩვენთვის მნიშვნელოვანია გვყავდეს გამოცდილი და განვითარებაზე ორიენტირებული პარტნიორები. GEFF პროგრამამ შესაძლებლობა მოგვცა ჩვენი პროდუქცია და მომსახურება საერთაშორისო ბაზარზე წარმოგვედგინა. Green Technology Selector-ის მეშვეობით ჩვენი პროდუქცია უკვე მთელი რეგიონისთვის არის ხელმისაწვდომი. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება და სასარგებლო იქნება როგორც ჩვენთვის, ისევე ჩვენი პარტნიორებისთვისა და მომხმარებლებისთვის”*

**ირაკლი პაპიაშვილი, შპს თეგეტა ტრაქ ენდ ბასის და შპს თეგეტა კონსტრაქშენ ექვიფმენთის გენერალური დირექტორი**

*“GEFF პროგრამაში ჩართვა ჩვენთვის და ჩვენი მომხმარებლისთვის ძალიან ხელსაყრელი გამოდგა. საქართველოში, ჩვენი კომპანია გათბობა, გაგრილებისა და წყალმომარაგების სისტემების ერთ-ერთ წამყვანი მომწოდებელია, ამიტომ ჩვენს პროდუქციაზე მოთხოვნა ყოველთვის დიდია, თუმცა GEFF პროგრამაში ჩართვამ ის უფრო ხელმისაწვდომი გახადა. ამ პროგრამის მეშვეობით ნებისმიერ ჩვენს მომხმარებელს შეუძლია მარტივად მიიღოს საჭირო დაფინანსება და საცხოვრებელი სახლი მეტად ჯანსაღი, ენერგოეფექტური  და ეკონომიური გახადოს”*

**გიორგი გოგიჩაიშვილი, შპს თერმორუმის ასორტიმენტის განვითარების მენეჯერი**



შეკითხვებისა და დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ მოგვწეროთ. ჩვენი გუნდი სიამოვნებით დაგეხმარებათ.

GEFF საქართველოში
თამარაშვილის ქ. 13ა | თბილისი, საქართველო
georgia@ebrdgeff.com | +995 32 2290809 | www.ebrdgeff.com/georgia